# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889


ამ ნომერში რვა გვერდია.


## სასწავლებელი და პანსიონი

ი. რ. მრევლიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს კადეტის კორპუსისა, გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლისათვის, აგრეთვე იღებს პანსიონერებად ყველა საშუალო სასწავლებლის შეგირდებს. დაწვრილებით პირობის შეტყობა თვით სასწავლებელში შეიძლება.

(15—10)


## ახალი ამბავი

** სამშაბათს, 10 ოქტომბერს, კავკასიის მთავარ-მართებელმა თავ. დონდუკოვ-კორსაკოვმა სადილი გაუმართა კავკასიის გამოფენის ყველა შესამჩნევ და პირველ ხარისხოვან მოღვაწეთა, გამგეთა და ხელმძღვანელთა. სადილად მიწვეულნი იყვნენ, სხვათა შორის, საქართველოს ეგზარხოსი პალადი, სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ოსტროვსკი, სტატს-სეკრეტარი ბარონ ნიკოლაი, ტფილისში მყოფნი გუბერნატორნი და სხვანი. სტუმრების რიცხვი 110 იყო. სადილზე წარმოითქვა მრავალი სადღეგრძელო და სიტყვები. სხვათა შორის მინისტრმა ოსტროვსკიმ წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა, რომელიც მოგვყავს აქ შემოკლებით. მინისტრმა სთქვა, რომ მეოთხედ ვარ კავკასიაში და, რაც უფრო ვაკვირდები ამ ქვეყანას, მით უფრო მაყვარებს თავს ეს ქვეყანა, მით უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ კავკასიას დიდი ბედი მოელის და დიდს საპატიო ალაგსაც დაიჭერს რუსეთის ეკონომიურს ცხოვრებაშიო. ეს აზრი ახალი აზრი არ არის და არც მე მითქვამს პირველს, მაგრამ ბევრი ისეთი დიდი და მაღალი აზრია, რომლის გამეორება მუდამ საჭიროა, მით უმეტეს, რომ ის აზრი დიდხანს რჩება აზრად და საქმედ ვერ გადიქცევა ხოლმე. ვერ გადიქცევა ხოლმე საქმედ, ვერ განხორციელდება ხოლმე იმიტომ, რომ კაცს ჰგონია, ასეთი ცხადი, ასეთი ჭეშმარიტი და ბრწყინვალე აზრი თავის თავად გადიქცევა საქმედაო. თავად-კი გულ-ხელი დაუკრეფია და, დიდის აზრის სხივ-ცისკროვანებით თვალ-მოჭრილი, ვერა ჰხედავს, რამდენი დაბრკოლებაა წინ იმ აზრის განსახორციელებლად, რამდენი შეერთებული ღონე და ძალაა საჭირო იმ აზრის საქმედ გადაქცევისათვის. კავკასია სავსეა სიმდიდრითაო. დიაღ, სიმდიდრით სავსეა, მაგრამ იმ სიმდიდრეს გამოყენება უნდა, იმ სიმდიდრეს პოვნა უნდა, მუშაობა ესაჭიროება. აქ მინისტრმა ჩამოთვალა ყოველ გვარი დაბრკოლება, რომელიც-კი ქვეყნის განსაკუთრებულის ბუნებისა და თვისების გამო ელობება კაცს წინ და ამ მიზეზით ვერ გამოუყენებიათ ულეველი განძი კავკასიის წიაღში დაფლული და დამალული. მინისტრმა სთქვა, რომ ყოველ ამ დაბრკოლების დასაძლევად საჭიროა სკოლები და გზებიო, საჭიროა სწრაფი გამიჯვნა ადგილ-მამულისაო, წესსა და რიგში მოყვანა რწყვისა და არხების საქმისა იქ, სადაც წყალი ძვირია და სხვა. ბოლოს მინისტრმა მოიხსენია, რომ აქ უფრო, ვიდრე სხვაგან სადმე, საჭიროა მთავრობის მზრუნველობა ქვეყნის ყოველ გვარ საჭიროების დასაკმაყოფილებლად, მთავრობის თაოსნობა სხვა-და-სხვა დაბრკოლების ასაცილებლადაო. მთავრობამ უნდა იზრუნოს მკვიდრთათვის, რომ იგინი კარგად მოეწყვნენ ყველა თავ-თავის საკუთარს მიწა-წყალზე, რომ მათ შორის გავრცელდეს წერა-კითხვა და სწავლა-განათლება და ცოდნა იმ გვარის სასოფლო და სამეურნეო წარმოებისა, რომელიც უზრუნველს ლუკმა-პურს მისცემს. გზებისა და წყლისათვის ზრუნვაც ყოველ ამას უნდა თან მოსდევდეს. მთავრობაც კავკასიისა ყოველ ამასა სცდილობს, ყოველ ამისათვის მზრუნველობსო, საჭიროა მხოლოდ, რომ თვით საზოგადოებაც დაეხმაროს მთავრობასა და ერთობილის ღონით შეუდგნენ ქვეყნის წარმატებისა და გამდიდრების საქმეს. და აი ვსვამ მეც სადღეგრძელოს ამ ქვეყნის კეთილდღეობისა და აღყვავებისათვისაო.

** გუშინ, ამ თვის 12, დილის ცხრა საათზე, ამიერ-კავკასიის რკინის გზის მატარებლით ტფილისიდგან გაემგზავრა ქუთაისს მთავარ-მართებელი კავკასიისა თავ. ა. მ. დონდუკოვ-კორსაკოვი, რომელსაც თან ახლავს თავისი კანცელარიის დირექტორი ბ-ნი ვ. პ. შატილოვი. იქიდგან მისი ბრწყინვალება ტყიბულში წაბრძანდება ქვა-ნახშირის მადნების დასათვალიერებლად და ამ თვის 16 ზუგდიდის გზით გაემგზავრება სოხუმს, სადაც დახვდება ი. ი. ტიხეევი, რომელიც ტფილისიდგან სოხუმს ამ თვის 16 გაემგზავრება. მთავარ-მართებელი კავკასიისა სოხუმს მივა ამ თვის 18, იქიდგან წაბრძანდება ჯერ ახალ ათონის მონასტერში და შემდეგ ხმელეთით ნოვოროსიისკში. მთავარ-მართებლის თავ. დონდუკოვ-კორსაკოვის მგზავრობა გასტანს 18—19 დღემდე და ამიტომ იმის ტფილისში მობრძანებას ამ თვის გასულს მოელიან.

** ოთხშაბათს, ამ თვის 11, შუაღამისას, ტფილისის სადგურზე ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამეფო მატარებლით გაიარა ყარაიაზიდგან ჩამოსულმა მისმა იმპერატორებითმა უმაღლესობამ დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ, რომელიც ბორჯომში წაბრძანდა. ამავე მატარებლით ყარაიაზიდგან დაბრუნდა კავკასიის მთავარ-მართებელის თანაშემწე გენერალ-ადიუტანტი ს. ა. შერემეტიევი.

** ჩვენ ნამდვილად შევიტყეთ, რომ ქნ. ანასტასია თუმანიშვილისას უკვე მოსვლია ნება-რთვა საყმაწვილო ჟურნალის გამოცემისა ქართულს ენაზე. ჟურნალს სახელად ერქმევა „ჯეჯილი“.

** ჩვენ მივიღეთ ახალი წიგნი: «ყმაწვილების ფიზიკური აღზრდა» გ. იოსელიანისა, დაბეჭდილი გრ. ჩარკვიანისა და რ. ფანცხავას ქართულ წიგნის მაღაზიის მიერ. ბ-ნს გ. იოსელიანს თავისი საინტერესო და სასარგებლო წიგნი მიუძღვნია ქართველ დედებისათვის, რომელთათვისაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ გვარის ხასიათისა და შინაარსის წიგნებს. წიგნი საკმაოდ მოზრდილია, სუფთად და ფაქიზად არის დაბეჭდილი და ღირს ერთი აბაზი.

** გასულს ენკენისთვეს ტფილისის ბაზრებში შემოსულა აქაური ფქვილი 485 ტომარა და სულ

## ფელეტონი

### გუგული და გვრიტი

„კაფე! კაფეო!“ გუგული
იძახდა გამწარებული,
და გვრიტი, ახლოს მჯდომარე,
ჰკითხავდა გაოცებული:

—

„რა დაგმართნია, დაიავ?
რად მოსთქვამ აგრე მწარედო?
ავად გყავს ვინმე? თუ მოკვდა
და დაგსვა მგლოვიარედო?

—

„ან იმას სწუხდე ეგები,
რომ მიდის გაზაფხულიო,
თან მიაქვს შვება-მოლხენა
და ტრფობა-სიყვარულიო?

—

გუგულმა უთხრა: „რას ამბობ?
მაგას არ ვსწუხვარ... არაო!..
შვილების უმადურობამ
უმართლოდ გამამწარაო.

—

„ეხედავ, რომ ყოველ გვარ ფრინველს
შვილები ეხვევიანო,
თავს ევლებიან... მშობლებიც
შესტრფიან, შეხარიანო.

—

„მე-კი აქამდეც არ ვიცი
რაა ეგ ნეტარებაო!
ვარბიან ჩემგან შვილები,
გრთიც არ მეკარებაო.

—

„დედა ვარ... განა უცხო ვარ?
მეც დედის მიძგერს გულიო!..
ამდენს ხანს მამა მათისა
გულს მედვა სიყვარულიო“.

—

გვრიტმა მიუგო: „საბრალოვ!
ეგ მიტომ დაგმართიაო,
რომ შენს ნებაზე ბღარტები
კარგად ვერ გაგიწრთვნიაო.

—

„სად გქონდა წრეულს შენ ბუდე,
ან როდის იჯექ კრუხადო?
მე სულ უსაქმურს გხედავდი,
დაქეიფობდი უხვადო“.

—

გუგულმა უთხრა: „რას ამბობ,
მაგისთვის სად მეცალაო?
გუგუთი გამოვაყრუე
მინდორი, ტყე და ჭალაო.

—

„დრო სადღა მქონდა ბუდისთვის,
სხვისაში ვსდებდი კვერცხებსო.
იქ გამოჩეკეს!.. და ზრდითაც
დაავაზრდევინე სულ სხვებსო“.

—

გვრიტმა სთქვა: „რადგანც დედობის
დაგვიწყებია ვალიო,
გემართლებიან, რომ სძულხართ
შვილებს!.. არა აქვთ ბრალიო“.

—

ვინც გუგულსავით სხვის ხელში
ჩააგდებს თავის შვილებსო,
იმას შვილთა ბოლოს დროს
შეარცხვენს, გააწბილებსო.

აკაკი

### პატარა მეწვრილმანე

სურათი ჰოლანდიელ ურიათა ცხოვრებიდგან

ზახერ-მაზოხისა

(ფრანგულიდგან)

იონა ვასერდამი წინად ქ. ამსტერდამში ერთს მდიდარ ვაჭართან ნოქრად იყო, და ასე თუ ისე არც ბედს ემდუროდა თავის ცხოვრებისათვის. ალა-ბატონის სიკვდილს შემდეგ ქ. ბერცოომში საკუთარი დუქანი გაალო, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, წუთი-სოფელი მუხთალია, ბედმა უმტყუნა, სხვა-და-სხვა გარემოების მეოხებით სიღარიბეში ჩავარდა და თავის ცოლისა და ქალიშვილ სლობეთურთ ქალაქ გარედ დაიწყო ცხოვრება. იმათ ერთი პატარა დაბალის ოთახის ნახევარი ეჭირათ. ოთახის ფანჯრის შუშები ჩამტვრეული ყო და იმათ მაგიერობას გაქონილი ქაღალდი სწევდა. ბუხრიდგან შეუწყვეტელი კომლი გამოდიოდა და სიცოცხლეს უჭირებდა. სკამები, ტახტი, ტაბლა,— ყველაფერი, თავის პატრონ მოხუც ვასერდამსავით, მოღუნულ-დაღრეჯილიყო. ერთის სიტყვით, ამ ვიწრო ქოხში ცხოვრება შეიძლებოდა, თუ თაგვის სოროზე, ან მერცხალის ბუდეზე უკეთესად არა, არც უარესად.

იმათი ქალიშვილი სლობე სახლში დიდხანს იშვიათად რჩებოდა, და როცა-კი იქ იყო, სცდილობდა, რაც შეიძლებოდა, ნაკლები ალაგი დაეჭირა ოთახში. თუ დღე იყო, კუნჭულში მიიმალებოდა სადმე, ღამე-კი იატაკზე ჩალის კონას ჯარის-კაცის მაზარას წააფარებდა და ზედ განისვენებდა.

ცოლ-ქმარნი, ევა და იონა, ნახევრად ბრმანი იყვნენ, ასე რომ თავისის ოფლით მუშაობა და თავის რჩენა არ შეეძლოთ. ღმერთს იმათთვის სლობე რომ არ მიეცა, ეს გამრჯე და კეთილი ქალი, იძულებულნი გახდებოდნენ საჭმელი პური მათხოვრობით ეშოვნათ და ურიათა ამ ძნელ ხელობისათვის თავი დაეკრათ.

მარტო სლობე იყო იმათი ჭირისუფალი. დილით საღამომდე დაწანწალებდა ყველგან, ერთის სოფლიდგან მეორე სოფელში და ერთის ქოხიდგან მეორეში. იმის ფეხებმა დასვენება არ იცოდნენ. ვაჭრობდა ყოველ გვარ საქონლით, რომ როგორმე დაეხსნა თავისი მოხუცი დედ-მამა და თავისი თავი შიმშილისა და სიცივისაგან.

მშობლებმა ვაჭრობის კარგ ფეხზედ დასაყენებლად ათი შაურიც ვერ მისცეს ამ თავის შემნახველს, რომ საჭირო საქონელი ეყიდნა, მაგრამ სამაგიეროდ ორივესაგან ისეთი განძი მოიპოვა ჩვენმა სლობემ, რომელიც ფულზე ნაკლებ არა ფასობდა. ფერიაც-კი ვერ გააბედნიერებდა ამაზე უკეთესად!

დედამ ერთი ძველი ალაბი მისცა, რომლის წყალობით ათს ალაბს თორმეტად გამოიყვანდა (რა თქმა უნდა, ეს ალაბი შელოცვილი იყო). ხოლო მამამ თავის მხრით ფეხი იმ მეცნიერების საიდუმლოებათა კარებში შეადგმევინა, რომლის წყალობითაც კაცს ბედ-იღბალს ხელის გულზე ამოუკითხავდა. ეს მეცნიერება ურიებში მხოლოდ მამაკაცებმა იციან.

თუმცა ყველა ეს დიდი ავლა-დიდება არ იყო, მაგრამ სულ „არარაობას, ცალ უღელი ხარი სჯობიაო“, ნათქვამია. თავად სლობე ლამაზი გოგონა იყო: გრძელი და შავი თმები კოჭებზე სცემდა, მხიარულ თვალებიდგან ნაკვერცხალს აფრქვევდა, კეთილი გული ჰქონდა და ლევდივით გამოქნილი ენა. ყველა ეს ღირსება ძალიან ხელს უმართავდა თავის ხელობაში, მუშტარი იშვიათად გაუსხლტებოდა, უსათუოდ მიაჩეჩებდა რასმე. ყველგან დადიოდა და თავისის გამჭრიახობითა და მოხერხებით გამვლელს ადვილად გააბამდა ხოლმე თავისს გაიძვერაობის მახეში. აქეთ-იქით ხშირის წანწალის დროს ბევრს რასმე ჰხედავდა და დროც ჰქონდა, რომ ყველაფერს დაჰკვირვებოდა. მუდამ საზოგადოებაში ყოფნით კარგად გაიცნო სხვა-და-სხვა წოდების ხალხი. ამიტომაც იშვიათად ტყუვდებოდა და ყველას აკვირვებდა თავისის მკითხაობით, ასე რომ ბოლოს და ბოლოს ყველგან გაუვარდა სლობეს გამოჩენილის მკითხავის სახელი.

აი ერთი მაგალითი:

გაყიდულა. 4880 ტომარა ქერი შემოუტანიათ და მხოლოდ 20 ტომარა დარჩენილა გაუყიდავი. აქაური ფქვილი იყიდებოდა მანეთად და ექვს შაურად, ექვს აბაზად და მანეთ უზალთუნადაც ფუთი, ხარისხისა დაგვარად. ქერი იყიდებოდა სამ აბაზიდგან სამ აბაზ უზალთუნამდე. ამავე თთვეში ტფილისის ბაზრებში მოუტანიათ 5350 ურემი შეშა და გაყიდულა სამ მანეთიდგან ექვს მანეთამდე ურემი. სხვილ-ფეხი საქონელი ჩამოურეკნიათ 3500 ცალი და ამათგან გაყიდულა მარტო 1863 სული თითო ოც-და-ოთხ მანეთიდგან ხუთ თუმან და ოთხ მანეთამდე. ცხვარი ჩამოურეკნიათ 20750 ცალი და გაუყიდნიათ მარტო 10150 სული თითო ორ-და-ათ შაურიდგან ოთხ და ორ აბაზამდე. თივა იყიდებოდა ფუთი ხუთ-ექვს შაურად.

⁂ ოთხშაბათს, 11 ოქტომბერს, ახლად ჩამოსულმა ბ-ნ სტარიცკის მალოროსსიელთა საოპერეტო დასმა ტფილისის თეატრში პირველად წარმოადგინა ხუთ-მოქმედებიანი დრამატიული ოპერეტი: „Ой не ходы грыцю, та на вечерныцы“. ეს ოპერეტი არ წარმოადგენს არც დიდად ხელოვნურს დრამას, არც ხელოვნურს ოპერეტს, მაგრამ შიგა და შიგ-კი მშვენიერი სცენები არის და საუკეთესო საგალობელი ხოროსი. თითქმის ყველანი ძალიან რიგიანად და მარილიანად თამაშობდნენ, ასე რომ კაცს ეგონებოდა მართლა მალოროსსიაში ვართო. როგორც პირველ თამაშობიდგანა სჩანს, საუკეთესო არტისტები უნდა იყვნენ ქ-ნნი ვერინა, ზოიარსკაია, კოსანოვსკაია, მანკოფსკაია და ბ-ნნი ვანჩენკო, გრიცაი და იარომენკო. ამ დასს საუკეთესო ხორო ჰყავს, როგორც ქალებისა, ისე კაცებისა, და საზოგადოებამაც დიდის ალტაცებით მიიღო. პირველ წარმოდგენაზე ხალხი საკმაოდ ვერ დაესწრო, თუმცა ფასები დაკლებული იყო. ჩვენის აზრით, ბ ნ სტარიცკის დასი ყოველთვის ღირსია, რომ საზოგადოებამ თანაგრძნობა გაუწიოს. წარმოდგენამ საზოგადოდ ძალიან კარგად ჩაიარა და ბ-ნი სტარიცკი ბევრჯელ იქმნა გამოწვეული. ერთი შენიშვნა ბ-ნ ვანჩენკოს: სად გამოსძებნა მან ისეთი საწამლავი, რომელიც პირთან მიტანის უმალვე საიქიოს ისტუმრებს კაცს?!

⁂ ოთხშაბათს, ამ თთვის 11, ტფილისის დამოჟნაში მოიტანეს ერთი პოჟოსკა ბაჟ გადაუხდელი ჩაი. ეს ჩაი 8—9 ფუთამდე იქნება და დამოჟნის მოხელეებს უპოვნიათ აქაურ მოვაჭრის ტერ-არაქელოვის დუქანში, რომელიც თათრის მეიდანზედ იმყოფება. ტერ-არაქელოვს ამ საქმის გამო ოქმი შეუდგინეს.

⁂ ამ თთვის 17 ტფილისის სიონის ტაძარში მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი პალლადი გადაიხდის წირვას და შემდეგ პარაკლისს მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა და მათის უავგუსტოესის სახლობის საკვირველ გადარჩენის გამო 17 ოქტომბერს 1888 წელს, როდესაც კურსკო-ხარკოვო-აზოვის რკინის გზაზე დაიმსხვრა სამეფო მატარებელი. ამ დღეს დაკეტილი იქნება სასამართლოები და სხვა დაწესებულებანი.

⁂ **კაგკაგი**: 18 ენკენისთვეს სოფელ ბესლანში შემდეგი საცოდაობა დატრიალდა: ორს განუყრელს ძმას დიგუროევებს ორის დღის წინად დაეწვათ სახლი. უმცროსმა ძმამ დიგუროევმა დედას უთხრა: „დედი, თუ ღმერთი გწამს, კარგად მომექეცი, თორემ დიდხანს ვერ ვიცოცხლებ, ისეთი სიზმარი ვნახეო. ვნახე, ვითომც სასაფლაოზედ ვილაცასათვის საფლავსა ვთხრიდი და შიგ ვიდექი. ამ დროს საფლავი უეცრად ჩამოიქცა, შიგ მომიტანა და ველარ ამოვედიო“. სიზმარი მართლა აუცხადდა საბრალო დიგუროევს. 18 ენკენისთვეს უფროსმა ძმამ თავის ნათესავეში წასვლა მოინდომა, ევებ შემწეობა მომცენ, რაკი სახლი დამეწვაო. უფროსის ძმის ჩოხა უმცროსს ძმას ჩაეცვა. უფროსმა სთხოვა, ჩემი ჩოხა მომეციო. უმცროსმა არ მისცა და ამაზე შელაპარაკდნენ. ლაპარაკში უმცროსმა ხელი ჰკრა უფროსს და წააბარბაცა. უფროსმა ძმამ იუკადრისა და ხანჯალი გაიძრო. მოუქნია ერთი და ძმამ აიცდინა, მოუქნია მეორედ კიდევ, დასცა ხანჯალი ზურგში და გულში გამოახედა. ჩხუბზედ შვილებს დედა გამოეშველა, მაგრამ გვიან-ღა იყო. დაჭრილმა უმცროსმა შვილმა დედას ერთი-კი შესძახა: «აკი გითხარი, დედი, დიდხანს არ ვიცოცხლებ-მეთქი. აი ეხლა აღარაფერზედ აღარ შეგაწუხებო“, და დაეცა უგონოდ. დაჭრილმა ერთს საათს უკან სული განუტევა.

⁂ **ხოფ. ხუმელაგა** (კავკავის მაზრა): ვერ იქნა და ვერ მოისპო ბარის-ოსებში ქურდობა-ავაზაკობა. 20 ენკენისთვეს იმსხვერპლეს ქურდებმა ხუმელაგელი მისრიყო ხოსროევი. ხოსროევის საქმე ამ ნაირად გახლდათ: მისრიყო ხოსროევი თავისის შვილით ტყეში გაჰყვა მეზობლებს. ტყეში ყველანი თავ-თავის ურმისთვის შეშის მზადებას შეუდგნენ, საბრალო მისრიყო ხოსროევიც ცალ-მხარეზედ წავიდა და თავის შვილზედ ცოტა მოშორებით დაუწყო შეშას ჭრა. ამ დროს წაადგა მისრიყო ყევარით დაბმულს ხარებს. ხარები თურმე ქურდებს სოფელ სალუგარდნიდგან მოეპარათ, გზაზედ გასთენებოდათ, ამიტომ ტყეში მიმალულიყვნენ და დაღამებას ელოდნენ. მისრიყო მიხვდა, რომ უთუოდ მოპარული ხარებიაო, დაირეკა და წამოასხა ამხანაგებისკენ. ამ დროს, სად იყო, სად არა, გადმოუდგნენ ქურდები, შეაყენეს მისრიყო და შესძახეს: „რას შვრები, რა საქმე გაქვს შენ მაგათთან, ნუ მიგიდის ეგ ხარები, შენები ხომ არ არიანო“. საცოდავი მისრიყო ცოტა თავის ნება კაცი იყო და სირცხვილად მიიჩნია, რომ ნებით ქურდებისთვის ხარები გაეტანებინა. გაუძალიანდა ქურდებს და თოფი დაუმიზნა. ქურდებმა აღარ აცივ-აცხელეს, ორი თოფი ერთად დასცალეს და ორმა ბერდანის ტყვიამ მარცხენა მხრიდგან გულ-მუცელი შეუნგრია და იქვე დაეცა საბრალო მისრიყო. ეს-ღა დაიძახნა უბედურს: „არიქათ, მომკლესო!“ თოფის ხმაზედ ამხანაგებიც და შვილიც მოვიდნენ და ნახეს, რომ საცოდავი მისრიყო კიდეც გათავებულიყო. ქურდებს ხარები იქ დარჩათ და თითონ-კი გადიკარგნენ. მისრიყო ხოსროევი მეტად ხელ-მოკლე კაცი იყო და დარჩა ყოვლად უნუგეშოდ ცოლი და წვრილ-შვილი: შვიდი ვაჟი და ერთი ქალი.

⁂ **ბარის ოსეთი**: ბარის ოსებში ცხვრის პატრონებს მთიდგან ჩამოსული ცხვრები ეხოცებათ. საკვირველება არის ამ ცხვრების სენი. ავადმყოფობას კაცი ვერას გზით ვერ შენიშნავს, ისე უეცრად ჰკლავს. ერთს გააკანკალებს ცხვრებს და, თუ პატრონმა თვალი მოჰკრა და დანა მიასწრო, ხომ რა კარგი, თუ არა-და, უსულოდ კვდება. ცხვარს როცა ატყავებენ, არაფერი არა ეტყობა-რა, მშვენიერი სალი ხორცი აქვს, მხოლოდ ელენთა (ტყირპი) აქვს გასიებული და ცოტა ჯიგარიც. ცხვრის პატრონებს ვერა გაუგიათ-რა ამ ნაირის ცხვრის სენისა და ამბობენ, რომ ჯერ არ მოვსწრებივართ ამ გვარს ავადმყოფობასაო.

⁂ **კაგკაგი**: კავკავში მუცელა არის გახშირებული და საკმაოდ ზარალსაც აძლევს ყმაწვილებს. ბარის ოსების სოფლებშიაც მძინვარებს ესევე სატკივარი და იქაც უზარალო არ არის.

⁂ 10 ოქტომბერს, პოლიციის პირველს განყოფილებაში, უეცრად გარდაიცვალა სამსახურს გარეშე მყოფი პოდპოლკოვნიკი ალექსანდრე გარდეის ძე ანდრეევიჩი. გარდაცვალებულის გვამი სამკურნალოში გაგზავნეს. გამოძიება სწარმოებს.

⁂ 10 ოქტომბერსავე, პოლიციის 7 განყოფილებაში, კავკასიის სამხედრო ოლქის უმთავრესის მღვდლის მამა გუმილევსკის სადგომიდგან გაუტანიათ სამი ხალათარა, სამი სამღვდლო კაბა, პირველ ხარისხის წმ. ანნას ორდენის ვარსკვლავი, წმ. ნინოს ჯვარი და სამი მენდალი, სულ 179 მანეთისა. ეჭვი არავისზეა გამოცხადებული. გამოძიება სწარმოებს.

## წერილი რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ, თქვენის გაზეთის შემწეობით უუგულითადესი მადლობა განუცხადო კომიტეტის სახელით კნეინა მარიამ ზაქარიას ასულს ჭავჭავაძისას რომელმაც შურაში გამართა მომავლის დედათა სკოლის სასარგებლოდ წარმოდგენა. ყოველი ხარჯი წარმოდგენისა თვით იკისრა და შემოსავალი 278 მან. სრულიად გამოუგზავნა „თავად-აზნაურთა საზოგადოების“ ქალთა განყოფილების კომიტეტს. მადლობას ვუძღვნი აგრეთვე ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო წარმოდგენაში, და განსაკუთრებით პოლკოვნიკს შეტინინს, რომელმაც იკისრა რეჟისორობა და ამით ხელი მოუმართა წარმოდგენას. აგრეთვე ნება მიბოძეთ უგულითადესი მადლობა ვუძღვნა კნ. მაკრინე იოსების ასულს წერეთლისას, რომელმაც დაბა საჩხერეში გამართა ზემოხსენებულისავე სკოლის სასარგებლოდ წარმოდგენა და შემოსავალი 82 მან. ჩვენ გამოგვიგზავნა.

თავმჯდომარე „ქალთა განყოფილების“ კომიტეტისა

---

ქ. ბერცომის გამოჩენილი „წითელის ლომის“ სასტუმრო ქალბატონ აპელბონს ეკუთვნოდა. აპელბონი ქვრივი იყო, ასე ოც-და-ათის წლისა ლამაზი, ტანადი, და დიდად მოწადინებული იყო მისთხოვებოდა ვისმე. საქმროც ბევრი ჰყავდა, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ არც ერთი არ მოსწონდა. სხვათა შორის პატარა მახლობელს ქალაქში ერთი მეღვინე სცხოვრობდა, სახელად მორჩე. ეს კაცი ჯერ ისევ უცოლო იყო და ორმოცის წლისა იქნებოდა. სილამაზე, ღვთის წყალობით, არ აკლდა, მხიარული გული ჰქონდა, თითონ მხნე კაცი იყო,—ერთის სიტყვით, მშვენიერი ახალგაზდა გახლდათ. ცხოვრების ყოველ გვარ სიტკბოების ჭაშნიკი ენახა და ახლა ცოლ-შვილიანობით უნდოდა გაბედნიერება. უნდოდა-კი, მაგრამ იმდენი გამბედაობა არა ჰქონდა, რომ ახალგაზდა ქალისთვის ეთქვა რამე და ცოლად შერთვის სურვილი გამოეცხადებინა...

სლობემ ორივეს გულის წადილს მიუხვდა და სულ ცოტა ხანში კარგი და მოხერხებული ხაფანგიც დაუგო... ერთს საღამოს ქალბატონ აპელბონმა სლობე თავისას მიიწვია საიდუმლოდ და ბედ-ილბალი აკითხვინა. სლობემ გასინჯა თუ არა ქვრივის ფუნთუშა და თეთრი ხელი, დაფიქრებით თავზედ ხელი მოისვა.

— რასა ჰხედავ, ჩემო საყვარელო სლობე. ჰკითხა ცოტა შეფიქრიანებულმა აპელბომ.

— რა უნდა ვნახო?.. მიუგო ახალგაზდა ქალმა: ერთს კაცსა ვხედავ და ის, როგორც ეტყობა, თქვენს შერთვას არის ძალიან მოწადინებული.

— ღმერთო! იმედია, რომ ეგ კაცი მფლანგავი არ იქნება. მეშინიან, ვაი თუ ისეთი შემხვდეს ვინმე, რომ ეს ჩემი ამდენის ხნის ტანჯვითა და დავგით მონაგარი ავლა-დიდება წყალს მისცეს... ხომ იცი, ამისთანა კაცი არაფერი სასურველია.

— არა, ბატონო, აბა მაგისთანა რა თქვენი საკადრისია, ღმერთმა დაგიფაროთ! პირ-იქით ის ძალიან ლამაზიც არის, თუმცა ცოტა ხანში შესულია, მაგრამ ამას არა უშავს-რა, ხანში შესულმა რომ თავის წლოვანებისას ზურგი შეაქციოს, ახალგაზდა ვის-ღა უნდა დაუმეგობრდეს?.. თქვენ და ის ერთმანეთთან ძალიან მოეწყობით თუ გნებავთ, ამის ხელ-წერილსაც-კი მოგცემთ.

—იქნება წვრილ-შვილების პატრონი ქვრივი იყოს? კარგად იცი, ჩემო სლობე, რომ არც ამისთანა კაცისკენ მიმიწევს გული.

— რასა ბრძანებთ, ცოლი ჯერ სულაც არა ჰყოლია.

ამ ლაპარაკის წინა დღეს მორჩე სლობეს უცოლობას უჩიოდა, სლობემ ხელი გაუსინჯა და უკითხა, რომ ამ მოკლე ხანში ერთ ლამაზს ქვრივს შეირთავ.

ქალბატონ აპელბონს სიხარულის მზემ გამოუნათა: სლობემ საქმროდ მორჩე დაუსახელა. იმ ქამად მორჩეს ქ. ბერცომში წასვლა მოუხდა და სლობეს, როგორც ყველაფერში გამოცდილს, მიჰმართა, რომ საუკეთესო სასტუმრო მაჩვენეო. პატარა თვალთმაქცმა „წითელის ლომის“ სასტუმროს ქება შეასხა. როცა მორჩე აპელბონთან ჩამოხტა, ქალი მიხვდა, რომ ის უნდა ყოფილიყო მისთვის ბედით დანიშნული საქმრო. ქვრივი მორჩეს ძალიან მოეწონა. ესენი ცოტა ხანს შემდეგ მარტოობის გამო ერთად დასხდნენ და მუსაიფი დაიწყეს. ჰნახეს, რომ ორივენი ერთმანეთს საუცხოვოდ შეითვისებდნენ და გაიბედნიერეს კიდეც თავი.

რაღა თქმა უნდა, ორივემ სლობეს მკითხაობის წყალობით აისრულა გულის ნადები. ყმაწვილს ქალს სახელი გაუვარდა, რომ გაჭირების ტალკვესია და ძალიან ჰშველის განსაკუთრებით იმას, ვინც სიყვარულსა ჰყავს დამონავებულიო. ეს საუცხოვო ხელობა, რაღა თქმა უნდა, სლობეს დიდს შემოსავალს აძლევდა.

II

დავით ვან-ბენიამენი ბერცონელი ვაჭარი იყო და სლობე სოფელში გლეხებზედ გასასაღებელ მიტკალსა, სხვა-და-სხვა ნაქსოვს, ზონრებს და კიდევ სხვა წვრილმან საქონელს იმისაგან ყიდულობდა. ვან-ბენიამინის შვილი ანტონი ლამაზი და გონიერი ახალგაზდა ყმაწვილი იყო, სულ სლობესთან ვაჭრობდა და ძალიან ესიამოვნებოდა ხოლმე კიდეც, თუ ყმაწვილს ქალს სავაჭროზე დიდხანს ალაპარაკებდა. ანტონი ოქრომჭედელ მენდელსონის ქალიშვილზე, ლამაზ დივარაზე, იყო დანიშნული, მაგრამ ეს გარემოება მაინც ხელს არ უშლიდა და სლობეს ყოველ დანახვაზე ხანგრძლივ ებაასებოდა და ეხუმრებოდა. ევაჭრებოდა, საქონელს განგებ ერთიორად და სამად უფასებდა, რომ ყმაწვილი ქალი გაეწიწმატებინა და იმის აბრიალებულის თვალების ცქერით დამტკბარიყო. იმათი ვაჭრობა ყოველთვის მორიგებით თავდებოდა და საქონელს იმ ფასად უთმობდა, რასაც ქალი შეაძლევდა. ამას გარდა ისე არ გაისტუმრებდა, რომ ან ლეღვის ჩირი, ან ქიშმიში, ან ინდის-ხურმა და ან ნუში არ ეთავაზებინა.

კარგა ხანმა განვლო ასე და ერთმანეთის ვინაობა მაინც არ იცოდნენ. ბოლოს-კი ორი საათიც არ დასჭირებიათ თავისის ბედ-ილბალის გადასაწყვეტად.

სლობე მელდენსონის მაღაზიაშიაც ხშირად დაიარებოდა ყალბის საყურეებისა და ბეჭდების საყიდლად. ყოველ შესვლაზე ჰხედავდა, რომ ანტონის საცოლეს დავარას გარშემო ნოქრები და ახალგაზდა აფიცრები თავს ევლებოდნენ. ამის ნახვამ სლობე ძალიან დაალონა. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ დავარა შესძაგდა და ანტონზე თანდათან მომეტებულად დაიწყო ფიქრი.

ერთს დღეს სლობეს სავაჭრო მხარზე გადაედო, ხელში ადლი დაეჭირა და ამტვერიანებულს ქუჩაში მიდიოდა. ფიქრები არ ასვენებდა და ბოლოს შემდეგმა აზრმა გაუელვა: რად უნდა დაუთმო იმ ლამაზ ქალს ანტონი, იმან იმისი ყადრი არ იცის და მეც მიშლის იმასთან გაბედნიერებასაო? ამ ფიქრში იყო გართული, რომ უცბად მხიარულმა ღიმილმა ლამაზი ტუჩები აუყვავა. ყმაწვილმა ქალმა გზას მიაგნო ხსნისას და ხერხით უნდოდა თავისთვის ეწამლა. როცა ვან-ბენიამენის დუქანში შეევიდა, იქ მყოფთ უამბო, რომ კნეინა რიტერნს ვუკითხე, დიდი წერილი მოგივა-მეთქი, და იმავე დღეს მართლაც მოუვიდა წერილიო (რაღა კითხვა უნდა, ის-კი არ გაამხილა, რომ ვიდრე უკითხავდა, ფოსტის ბიუროში რიტერნის სახელობაზე წერილი ჰნახა).

— თუ მკითხაობა იცით, მე რატომ არ მკითხავთო? წამოიძახა ანტონმა.

— დიდის კმაყოფილებით, თუ გნებავთ.

ანტონმა ხელი გაუშვირა. ქალმა კარგად გაუშინჯა ხელის გული და უთხრა:

— ვხედავ, ორი ახალგაზდა ქალი გიძევთ გულში... ჯერ კიდევ დარწმუნებით არ ვიცი, რომელია თქვენი ბედი, მხოლოდ აშკარად სჩანს, რომ ერთი მეტის-მეტად ლამაზი და მდიდარია, ზნეობით-კი მახინჯია და დაუდგრომელი ხასიათი აქვს. მეორეს-კი სილამაზეც აკლია, ღარიბიცა არის, თუმცა გამრჯელობითა და პატიოსნებით ცალი და ბადალი არა ჰყავს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. ამაშუკეთი.** ამ რამდენისამე წლის წინად საზოგადოდ იმერეთში და განსაკუთრებით ამაშუკეთის სამამასახლისოში მეტის-მეტად გახშირებული იყო ქურდობა, პარვა პურ-ღვინისა და საქონლისა, დახვედრა და გაგლეჯა მგზავრებისა, მიხტომა და აკლება ოჯახებისა და ბოლოს გატეხა და გაძარცვა საყდრებისა. ყოველივე ესე თითქმის ყოველ დღიური ამბავი იყო ჩვენში. მთავრობამ მიაქცია ამას ყურადღება და მიიღო ისეთი ღონისძიებანი, რომელთაც ძლიერ შეამცირეს ქურდობა და ცარცვა-გლეჯა. ერთი ამ ნაირი ღონისძიებათაგანი იყო დანიშვნა ღამის ყარაულებისა, ანუ, როგორც ჩვენში ეძახდნენ, „ხევისთავებისა“. თითოეული სოფელი ირჩევდა ორ-სამ ხევისთავს, რომელთაც მთავრობა ამტკიცებდა. ხევისთავებს უფლება ჰქონდათ გამოეყვანათ სოფლიდამ რიგრიგად ოთხი-ხუთი კაცი, კარგად შეიარაღებულები, და ღამ-ღამე დაეყენებინათ სოფლის უმთავრესს გზებზედ ყარაულად. ყარაულები ხშირად იჭერდნენ ღამე უსაქმოდ მოსიარულე საეჭვო კაცებს და წარუდგენდნენ ხოლმე თავის უფროსებს — ხევისთავებს. არავის არა ჰქონდა უფლება შემოეყვანა სამამასახლისოში, ან გაეყვანა იქიდამ საქონელი, მაგალითად: ცხენი, ძროხა, ხარი და სხ., თუ არ ექმნებოდა კანონიერი მოწმობა ხევისთავისაგან, ან ადგილობრივ პოლიციისაგან მიცემული, დაიკარგებოდა რამე და დამკარგველი მაშინვე შეატყობინებდი ხევისთავს, რომელიც დაუყოვნებლივ შეუდგებოდა ქურდის ძებნას. თუ დამკარგავს ეჭვი ვისმეზე ჰქონდა აღებული, ხევისთავი გაუჩხრეკდა ეჭვ-მიტანილს სახლს და, თუ ნაპარავს აღმოაჩენდა, შეადგენდა გაანაჩენს და წარუდგენდა მაზრის უფროსს, ხოლო ნაპარავს ნივთს და ქურდს-კი ჩააბარებდა ადგილობრივ პოლიციას წარსადგენლად, სადაც ჯერ იყო. ერთის სიტყვით, ხევისთაობამ ძლიერ შეამცირა ქურდობა, რადგან ხევისთავნი ყოველთვის კვალ და კვალ დაედევნებოდნენ ხოლმე ქურდებს და ხშირად კიდეც ჰპოულობდნენ.

უნდა ვსთქვათ, რომ ხევისთაობას ბოროტ-მოქმედებაც-კი მოჰყვა. ზოგიერთნი ხევისთავნი ამხანაგებად უხდებოდნენ ქურდებს და მერე შუა იყოფდნენ ნაქურდალს. მაგრამ ეს ისევ სალხის ბრალი იყო, რადგან ვერ ირჩევდა რიგიან სასხევისთაო კაცს, თუმცა მთავრობისაგან სასტიკად დავალებული ჰქონდა ამოერჩია ხევისთავებად კეთილ-საიმედო და პატიოსანი კაცები. ამ გარემოების გამო იყო, თუ სხვა რაიმე მოსაზრებით, მთავრობამ მალე მოსპო ხევისთაობა და იმათი მოვალეობა მიანდო მამასახლისებს, მაგრამ მამასახლისები ამ ახალ მინდობილებას ვეღარ გასწვდნენ რიგიანად, რადგან მამასახლისებს უამისოდაც ბევრი საქმე აქვთ. ამას ცხადად ამტკიცებს ის გარემოება, რომ ხევისთაობისაგან აღაგმულმა და შეშინებულმა ქურდებმა ამ ბოლოს დროს ისევ დაიწყეს ნავარდობა და უფრო თამამადაც, ვიდრე უწინ იყო. ამაშუკეთის სამამასახლისოში ამ ცოტა ხანში ათზე მეტი ქურდობა მოხდა. მე არ ჩამოვთვლი ყველა ქურდობა ავაზაკობას, რომელიც აქ მოხდა, მაგრამ არ შემიძლიან არ მოვიხსენიო ერთი მათგანი, რომლის გამოც თითქმის სამუდამოდ დაიღუპა სოფ. ამაშუკეთში მცხოვრები გლეხი გ. ბარბაქაძე. აი როგორ იყო ეს საქმე: მარიამობისთვის გასულს, ერთს მშვენიერს მთვარიანს ღამეს, როცა გ. ბარბაქაძესა და იმის სახლობას გარეთ აივანზე ეძინათ, უეცრად მოისმა რევოლვერის ხმა. მთელი ოჯახობა ზეზე წამოდგა და დაინახა, რომ აივანზე სამი შეიარაღებული უცნობი კაცია და სამიც მირს კიბესთანა. „ვინა ხართ თქვენ?“ — ეკითხება ბარბაქაძე. „ქურდები ვართ“, უპასუხებენ უცნობნი. გაიგონა თუ არა „ქურდებიო“, ბარბაქაძეს ცოლი შეშინებული გაიქცა, გადავარდა მირს აივნიდამ და უგრძნობლად დაეცა მიწაზედ. მირს მყოფმა ქურდებმა იფიქრეს: ეს მეზობლების დასამახშობლად მიდის უთუოდაო, მივიდნენ და ცოცხალ-მკვდარი დედაკაციც-კი დასვდათ. აიტანეს ქალი ბალკონზე. სამი კარებში დადგა, სამმა ბარბაქაძეს მოჰკიდა ხელი და შეიყვანეს სახლში, აახდევინეს ზანდუკი და ამოიღეს 124 მანეთი (საწყალმა წინა დღეს 240 მან. ღვინო გაყიდა თურმე). მერე შევიდნენ მეორე ოთახში, სადაც ბარბაქაძის უმცროსის ძმის ცოლს ეძინა, გამოართვეს შეშინებულს ქალს გასაღები და ამოიღეს იმის ზანდუკიდამ 110 მან. ბოლოს შევიდნენ ბეღელში და იქიდამ გაიტანეს საუკეთესო ნივთები: ნოხი, საბნები და სხვ. გაათავეს რა თავისი საქმე, ქურდებმა ორჯელ კიდევ დასცალეს რევოლვერი და გავიდნენ ეზოდამ. მეორე დღეს ბარბაქაძემ კაცი გაგზავნა მღვდელთან ცოლის საზიარებლად, რომელიც, თუმცა არ მოკვდარა, მაგრამ, ამბობენ, ძლიერ დაშავებულია გადმოვარდნისაგანაო. თითონ კაცი წავიდა სოფლის კანცელარიაში, რომ მამასახლისისათვის შეეჩივლა თავისი უბედურება და ეთხოვა დახმარება, მაგრამ კანცელარიაში ასე უთხრეს: მამასახლისი ეს მესამე დღეა ქიათურაში მუშებს ადგია თავზეო. ერთის კვირის შემდეგ მოვიდა მამასახლისი, განაჩენი შეადგინა და მგონი კიდეც წარუდგინა პოლიციის ბოქაულს, მაგრამ მარტო განაჩენი და ისიც დაგვიანებული დიდად ვერ არგებს საწყალს ბარბაქაძეს.

Z.

---

## წვრილი ამბები

ბერლინში ახლა ლაპარაკი იმაზედა აქვთ, რაც იმპერიის კანცლერს ედისონის ფონოგრაფის შესახებ უთქვამს. ამბობენ, რომ ფონოგრაფის დათვალიერებისთანავე ბისმარკმა სთქვა: „ეგ ფონოგრაფი მე ბარონ მიუნხჰაუზენის არაკს მაგონებსო. იმ არაკში ფოსტალიონმა საყვირი უნდა დააყვიროს, მაგრამ სიტყვები იყინება და საყვირშივე რჩება. როცა ფოსტის სადგურზედ მიიტანენ, საყვირი თბება და თავის თავად აყვირდებაო. უნდა ვაღიაროთ ამასთან, რომ ფონოგრაფს კარგა წინ გაუსწრია მიუნხჰაუზენის არაკისათვის, რადგან 10,000 სიტყვას ერთად ისმენს და ამბობს კიდეცაო“. ამბობენ, რომ ედისონმა ბისმარკის ნათქვამის სიტყვისა 10,000 ცალი ფონოგრამი გააკეთა და გერმანიის ყველა სახელმწიფო და კერძო საზოგადოებათა და დაწესებულებათ გაუგზავნაო.

— ამას წინად ბოსტონში დაუწყიათ გამოცემა ახალის ჟურნალისა, რომელსაც სახელად ჰქვიან „ქალი“. ეს ჟურნალი ქალების დაარსებულია, თანამშრომლებად ქალები ჰყავთ და ქალებივე აწყობენ და ჰბეჭდავენ. ამ ჟურნალის არც ერთს წერილში არ არის მამაკაცი ნახსენები და ნეკროლოგებიც-კი ქალებისა იბეჭდება. ამერიკისა და საზღვარ-გარეთის გაზეთები ჩვეულებრივს ქორწინებათა განცხადებას არა ჰბეჭდავენ. ჟურნალის სამეთაურო წერილში ნათქვამია, რომ ჩვენს ჟურნალში თავ-მოყვარეობასა, ნათლიმამობასა და მაღ-მომრეობას ადგილი არ ექნებაო.

— ოთხის თვის ციხეში დამწყვდევის შემდეგ უკვე განუთავისუფლებიათ ის პერმენი, რომელმაც წარსულს მაისში რევოლვერი ესროლა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს კარნოს. პერენს მაშინვე წერილი მიუწერია ქ-ნ კარნოსათვის და ატყობინებს, რომ დაუყოვნებლივ უკანვე გამოგიგზავნით იმ ფულს, რომლითაც შველა ხელისა გაგიწევდნიათ ჩემის ცოლისათვის და რომელიც არ უნდა მიეღო „მოწყალებადაო“. „ჩემი ცოლი უფრო უკეთესს იზამდა, რომ გაჭირება აეტანა, ვიდრე „მოწყალება“ აეღო პრეზიდენტის მახლობელისაგანაო. ორში ერთი უნდა იყოს: ან მართალი ვარ და ან მტყუანი. თუ ვსტყუი, არც ღირსი ვიქნები შველისა, და თუ მართალი ვარ, მოწყალება არა კმარა და მაგიერი შური უნდა ვიძიოვო. თქვენს ნამოწყალებავარს უკანვე გიბრუნებთ და მაგიერის გადახდას-კი შემდეგ ვეცდებიო.

— მეცნიერი მისიონერი დ-რი ფაბერი შემდეგს საყურადღებო ცნობებს გვატყობინებს იმის შესახებ, თუ რა თვალით უყურებენ ჩინეთის ბრძენნი დედაკაცსა და იმის მდგომარეობას:

1) დედაკაცსა და მამაკაცს შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორიც ცისა და დედამიწას შუა.

2) დედაკაცი მამაკაცისაგან არა მარტო გარეგანის აგებულებით განსხვავდება, არამედ სულიერადა და ზნეობრივადაც.

3) დედაკაცი დასაბამია სიკვდილისა და ყველა სხვა უბედურებათა და მწუხარებათა, ხოლო მამაკაცი დასაბამია სიცოცხლისა და ყოველისავე კეთილისა. ამიტომაც, აშკარაა, დედაკაცი კაცს უნდა ექვემდებარებოდეს და თავისუფლად ცხოვრების ნება არ უნდა ჰქონდეს.

4) დედაკაცი, დიდის გაჭირებით რომ ითქვას, ღვთის ქმნილებაა, მაგრამ მეტად დაბალის ხარისხისა-კი, და ვერასოდეს ვერ შეიძენს მამაკაცთა თანაბარს უფლებას.

5) დედაკაცის აღზრდას საგნად ის უნდა ჰქონდეს, რომ მთლად დაუმორჩილოს იგი კაცს და აგრეთვე წინააღუდგეს იმის განათლებასა და გონებრივს განვითარებას.

6) დედაკაცს უფლება არა აქვს სრული ბედნიერება მოითხოვოს, იგი განსაკუთრებით კაცისთვის უნდა სცხოვრობდეს და ჰმუშაობდეს.

7) დედაკაცს შეიძლება ოდნავ მიენიჭოს კაცის თანაბარი უფლება, ვითარცა გვარეულობის დედას, ისიც სახლის საქმეში.

---

აქედგან სლობე დაუყოვნებლივ მენდელსონის მაღაზიაში წავიდა. აქ დივარამ სთხოვა, რომ მიკითხე მეცა და ამ ჩემთან მყოფ ყმაწვილს კაცებსაცაო.

— თქვენ ერთ კაცზე უკვე დანიშნულხართ, მაგრამ თქვენი გული იმ კაცს, რომელსაც თქვენი მშობლები თქვენს თავს დაჰპირებიან, ვერ დაესაკუთრება. ბედი სულ სხვა კაცთან გიმზადებთ ცხოვრებას. ქმრად კეთილშობილის შთამომავლობისა და კარგის გვარიშვილის კაცი უნდა შეგხვდეთ.

სლობემ იქ მყოფ ახალგაზდებში ვან-ბროოკი, სამსახურში მეტად წინწასული კაცი, ამოარჩია და იმას უთხრა:

— თქვენ ერთი მეტად ლამაზი და სხვაზე დანიშნული ქალი გიყვართ და თუ ცოტას კიდევ შეეცადენით, ნანატრი აგისრულდებათ.

ვან-ბროოკმა დივარას გადაჰხედა და ულვაშებს დაუწყო გრეხა.

ამ დროს ანტონი-კი სლობეს ნათქვამს ჩაეფიქრებინა. ყმაწვილი კაცი თავის თავად ამბობდა, რომ ლამაზი, მდიდარი, მაგრამ დაუდგრომელი ხასიათის ქალი სხვა არავინ არის, თუ არ დივარა, ხოლო ღარიბი და პატიოსანი-კი სლობე უნდა იყოსო. მაგრამ ნუ თუ ბრმა ვიყავი, როცა დავინიშნე და ახლა უნდა გავახილო თვალი? ნუ თუ დივარა მართლა ზნეობით მახინჯი და დაუდგრომელის ხასიათისაა?

ამას შემდეგ ანტონმა თავის დანიშნულს თვალ-ყურის დევნა დაუწყო და ბევრი ისეთი რამაც შეამჩნია, რაც არაფრად სასიამოვნო იყო. აშკარად დარწმუნდა, რომ დივარას არც თავისის ოჯახისა და არც მამის ვაჭრობის ავ-კარგიანობის ფიქრი არ აწუხებდა, დილით საღამომდე დროს მორთულობასა, ფერ-უმარილის წასმასა და თმის დაკულულებაში ატარებდა, სცდილობდა კოპწიაობით ყველასათვის თავს ბრუ დაესხა და, რა თქმა უნდა, არც ყმაწვილ კაცების თაყვანის-ცემასა და უკან დევნას ვაურბოდა.

ამასობაში „კარვობის“ დღესასწაულიც დადგა. ანტონი მენდელსონისას წავიდა დივარას დასაპატიჟებლად, რომ დღესასწაული ერთად გაეტარებინათ. ოთახში ისე შევიდა, რომ არავის უნახავს. ეს გარემოება ძალიან დაეხმარა, რომ დივარას ყოფა ქცევა უფრო კარგად გამოეკვლია. თვალი მოჰკრა, რომ ვან-ბროოკი ეძიძგილავებოდა ხუმრობით ყმაწვილს ქალს, ორივე ხელსა ჰხვევდა და მხურვალედა ჰკოცნიდა. გაშეშდა, სისხლი ყელში მოადგა, მაგრამ მაინც, როგორც იყო, აღელვება დაიწყნარა და უკანვე გამობრუნება აჯობინა. გზაზე სლობე შეხვდა, რომელიც ჩქარის ნაბიჯით სადღაც მიეშურებოდა. ანტონი შეაჩერდა სლობეს მომხიბლველს პირი-სახეს: ახალს ტანისამოსს სლობე სულ ერთიანად გაელაზათიანებინა.

მართლა, სლობემ ერთ მდიდარ მექარხნე შპენსს ცოლისთვის წავის ტყავ-შემოვლებული წამოსასხამი აყიდვინა და გასამრჯელოდ ქალბატონმა შპენსმა თავის ძველი წამოსასხამი აჩუქა; მეორედ სლობემ ერთს მოსამსახურე ქალს თავის დანიშნულთან წერილი დაუწერა და საჩუქრად ერთი ლამაზი ზონარი მიიღო; ბოლოს ერთს გლეხს ძროხა მოურჩინა და ხელ-ფასად გიშრის კრიალოსანი უფეშქაშეს. პატარა სლობეს თავის შავს თმებში წითელი ზონარი გაეკეთებინა, ბროლსავით სპეტაკს ყელზე კრიალოსანი შემოეხვია და წელზე ქალბატონ შპენსის ნაბოძვარი წამოსასხამი კოპწიად წამოესხა და ისე გალამაზებულიყო, რომ ანტონს თავს ბრუ დაესხა და დიდხანს შესცქეროდა გაოცებული.

— სლობე! დაიწყო ბოლოს: მე მეგონა... მინდოდა... თქვენი პირიმე!..

— სასაცილო ხართ დღეს, ბატონო ანტონ, რა დაგმართებიათ?

— მე არ მეგონა, თუ ასეთი ლამაზი იყავით!

— ლამაზი ვარ, თუ მახინჯი, მგონი თქვენთვის სულ ერთია. თქვენი კარგი მუშტარი ვარ და სხვისა რაღა უნდა გეკითხებოდეთ.

— მაინც დიდადა გთხოვთ, დამავალეთ და ეს დღესასწაული ჩემთან გაატარეთ.

— რატომ არა, მაგაზე როგორ დაგზარდებით, თუ ჩემი ყოფნა გასიამოვნებთ რითიმე.

ორივენი ბაღში შევიდნენ. მიწაში სარები დაარჭეს, ზედ ბოძები დაასვეს, მოჰფინეს ბალახით და ბოლოს ფერადის ქაღალდითა, მოვარაყებულ კაკლითა და ვერცხლით დაფერილ ფრიწვლებით დაამშვენეს თავიანთი კარავი. დღესასწაული რომ გაათავეს, სლობე იქვე ფიცარზე ჩამოჯდა.

— სლობე! რომ მიკითხე, გახსოვს, ჰკითხა ანტონმა.

— აბა საიდამ მეხსომება? ვინ იცის, რამდენისთვის მიკითხნია და ყველასი დამახსოვდება?

— თქვენ ორი ქალი დამისახელეთ: ერთი მდიდარია და ზნეობით-კი მახინჯიო. ეს, რაღა თქმა უნდა, დივარა უნდა იყოს. მეორე-კი ღარიბია, პატიოსანი და შრომის მოყვარეო. თუ გაგაბედნიერებთ, ისევ ეს მეორეო, და ეს ჩემი გამაბედნიერებელი თქვენ უნდა იყოთ.

— მე აგრე არ მითქვამს.

— თქვენ ისიც მითხარით, რომ იმ ღარიბ ქალს სილამაზე აკლიაო. ამ შემთხვევაში-კი მოსტყუედით, რადგან თქვენ დივარას გაცილებით სჯობიხართ სილამაზით და ძალიანაც მიყვარხართ.

— ძალიან კარგი და პატიოსანი, მაგრამ მე რატომ აღარა მკითხავთ, თანახმა ვარ, თუ არა! უარი რომ გითხრათ, რას იზამთ?..

ანტონს ფერი წაუვიდა,

— კარგია, კარგი, ნუ შესწუხდით, თანახმა ვარო, ანუგეშა სლობემ: მე მიყვარხართ და მიყვარდით მაშინაც, როცა დივარასა სცემდით თაყვანს და საწყალს სლობეს არც-კი იცნობდით.

ანტონმა ხელები მოჰხვია, მხურვალედ ჩაიკონა გულში და კარგა ხანს იყვნენ ასე ჩაკონებულნი. კარავის სახურავს ბალახი მჭიდროდ ვერა ჰფარავდა, თითქოს ვარსკვლავებს არ უნდა დაუმალოს ამ ახალგაზდა ქალისა და კაცის ბედნიერების მოწმად ყოფნაო. ამ საღამოზე იმ ორ სულიერზედ უუბედნიერესი მთელს დედამიწის ზურგზე ძნელად თუ კიდევ მოიპოვებოდა ვინმე. ეს ახალგაზდანი ამ დუმილითა და სურნელოვანებით მოცულს ბაღში საწუთროს სულითა და გულით ჰმადლობდნენ გაბედნიერებისათვის. ის ბაღი ანტონ ვან-ბენიამინისა იყო.

დღეს სლობე ანტონის ცოლია. ზოგი ამბობს, რომ სახლის უფროსი სლობე არისო. თუ ასეა, სამართლიანად მიუნიჭებია ქმარს ეს უფლება, რადგან ყმაწვილი ქალი თავისს მოვალეობას პირ-ნათლადა და სინიდისიერად ასრულებს, იმის სახლში ყველა ფერს ჰოლანდიურის სიწმინდისა და სიფაქიზის ფერი ადევს. ანტონ ვან-ბენიამინის ვაჭრობა დღითი-დღე უფრო და უფრო კარგად მიდის და ახალგაზდა ცოლ-ქმარნი ბედის უმადურნი არ არიან.

თ. სა—კია

8) იმ ქვეყნად მდგომარეობა დედაკაცისა არ შეიცვლება, რადგანაც იმ საიქიოსაც იგივე ბუნების კანონები ჰმოქმედებს, რაც აქ.

ეს აზრები ქალების შესახებ ფაბერს კონფუციისა, მენციისა და ჩინეთის ზოგიერთ სხვა ბრძენთა ნაწერებიდგან მოჰყავს.

— რენანს ახალი თხზულება დაუწერია და ამ ახლო ხანებში გამოვა თურმე. ამ თხზულებას ჰწოდება „L'Avenir de la Science“ (მეცნიერების მერმისი).

— პარიჟში ამას წინად ერთი საგანგებო ქორწინება მომხდარა: ორს ექიმს ჯვარი დაუწერიათ. ჟაკ ბარტილიონს, პარიჟის სასტატისტიკო ბიუროს უფროსს, შეურთავს ქ-ნი მულცე, რომელმაც დიდის ამბით დაიჭირა პარიჟში წარსულს წელს დოქტორის ეგზამენი.

— გენუაში მღვდელს დონ დავით ალბერტარიოს დუელში გამოუთხოვნია მილანის მღვდელიც იმ მიზეზით, რომ ამ მღვდელს გენუისაზედ უთქვამს: ალბერტარიო ხანდახან სადილს წინად შოკოლადსა სვამსო. პირველი ამბავი გვონებ, რომ მღვდლებს ხმლით ებრძოლნოთ ერთმანეთთან.

— ელნანგენის სამკურნალოში ერთი ახირებული ავადმყოფია თურმე, რომელიც მხოლოდ მაშინ იძინებს, როცა წამალს მისცემენ ძილისას. ექიმები ატყუებენ, წამლის მაგიერ დანაყილს შაქარს აჭმევენ და იძინებს. უწამლოდ-კი ძილი სულ არ ეკარება თურმე.

# დეპეშა

12 ოქტომბერი

**უზუნ-ადა.** გუშინ გემით «Цесаревичъ» მოვიდა აქ კომისია გენერალ კოპიევის თავმჯდომარეობით. კომისიამ უნდა გამოიკვლიოს მიმართულება რკინის გზისა მულა-ყარადამ კრასნოვოდსკამდე.

**ჩარჯუი.** გუშინ დაიწყო მატარებელმა სიარული ახლად-შეკეთებულ ამუ-დარიის ხიდზე. ეს ხიდი დიდწყლობის გამო დაზიანდა და რიცხვით მეოთხე იყო. გარდა ამისა, დიდ-წყლობის გამო ამუ-დარიამ შეიცვალა დენა და იმიტომ დაქცეულის 80 საჟენიან ხიდის მაგიერ აგებულ იქმნა ახალი 275 საჟენის სიგძისა.

**ვენეცია.** გერმანიის მეფე-დედოფალი დღეს წავიდნენ გემით პირეიში. წასვლის დროს ზარბაზნები დასცალეს გერმანიისა და იტალიის ესკადრებმა. ზღვა ძლიერ ჰღელავს.

**ბრიუსელი.** გუშინ მოვიდა აქ პრინცი ფერდინანდ კობურგელი. იმანა და გრაფმა ფლანდრიისამ ჰნახეს ერთმანეთი და მერე პრინცი მიუნჰენს წავიდა.

**ათინა.** გუშინ შუადღის უკან მოვიდნენ აქ დანიის მეფე-დედოფალი.

**ვენა** (განსაკუთრებითი კორრესპონდენცია). ლლოიდის გემი „Erzherzog Ferdinand“-ი დაზიანდა დალმაციის ნაპირას. დაზიანებული გემი ქარმა გაიტაცა შუა ზღვაში და ჯერ არ უპოვნიათ. ამ გემში იყო მთავარი პეტრე ყარაგეორგიევიჩი.

გუშინ ბოლგარიამ ისესხა 30 მილიონი ფრანკი.

როგორც ისმის, პარასკევს საღამოს მოვა აქ პრინცი კობურგელი.

ნაჩევიჩს უკვე მოუვიდა პროექტი იმ სიტყვისა, რომელიც მოუმზადებიათ წასაკითხად საერო კრებაზე. ამ პროექტს ნაჩევიჩი წარუდგენს დასამტკიცებლად პრინცს. ხმა არის, რომ იმ სიტყვაში ორგან არის ლაპარაკი ბოლგარიის საერთაშორისო მდგომარეობაზეო.

12 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** საბანკირო სახლი „ა. ზინგერი და ამხ.“ პეტერბურგსა და მოსკოვში აღარ აძლევს, ვისიც რა ჰმართებს და გამოაცხადა, რომ ზარალი 195,000 მან. მაქვსო. ხმა დადის, რომ ამ სახლის გაკოტრების მიზეზი კურსის დაწევააო. ფული და ქონება სახლისა დაბეჭდილ იქმნა. „Гражданинъ“-ი იუწყება, რომ კანტორას მომგებს ბილეთებში არც ერთი არ აკლიაო. მხოლოდ, ვიდრე საქმე არ გამოირკვევა, ვერ გაიყიდებაო.

**იოკაგამი.** გრაფი ოკუფი უფრო მძიმედ არის დაჭრილი, ვიდრე ეგონათ; მეტი ღონე არ იყო და ექიმებმა ფეხი მოსჭრეს.

**ათინა.** აქ მოვიდა პრინცი უელსისა. პირეიაში უკვე 17-მა სამხედრო გემმა მოიყარა თავი.

პეტერბურგის ბირჟა, 10 ოქტომ.

| | მყიდველნი | | გამყიდველნი | | გაყიდულია | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7 | 73 | — | „ | — | „ |
| ტამოჟნის კუპონები | 154¼ | | — | „ | — | „ |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — | „ | 1 | 12 | — | „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — | „ | — | „ | 255 | |
| — მეორისა | — | „ | — | „ | 233¼ | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — | „ | — | „ | — | „ |

## საკალენდრო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩუთ (1889) წელიწადია ქვეყნის შექმნიდამ 7397.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამის ქორონიკონი—უპა—481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი მე—45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდებ- 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადებია—6.

ოქტომბერი 31 დღით არის

13 დღე პარასკევი.—წმ. მოწ. ბენიამინესი. კათ. ედუარდისა. სომეხ. მარხვა. მაჰმად. 1-ლი რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1307 წ. ჰიჯრისა.—დაამთავრეს სურამის გვირაბის გათხრა, 1888 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—25, ჩადის 5—4. მთვარე 2 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა | 3½ | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3½ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა | 4 | „ |
| მე-3 — | | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 | „ |
| ღორის ხორცი | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |


# კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ.

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ, Дворцовая улица, Караванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვითო | 10 მ. — კ. | 6 თვითო | 6 მ. — კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 › | 5 „ 25 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 › | 4 „ 75 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 › | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 › | 2 „ 50 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 › | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის მეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგი თვის პირველს დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ავჭალის ქუჩაზე, თ. გრუზინსკის სახლში.

# დედა ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და-ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას:

Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 112.

# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში ახალი წიგნი:

**ისტორია საქართველოსი**

(უძველესის დროიდამ მე-X საუკ. დასასრულამდე)

თხზულება

დ. ზ. ბაქრაძისა.

ფასი ერთი მანეთი

(5—1)

ახლად გამართული ფოტოგრაფია

ა. ს. როინაშვილისა

მოთავსებულია ერევნის მოედანზედ, ხარაზოვის სახლში.

მიიღებს ყოველ გვარს ფოტოგრაფიულს საქმეებს იაფისა და ზომიერის ფასით.

იქვე ისყიდება სხვა-და-სხვა გვარი შესანიშნავი სურათები საქართველოსი და მთელის კავკასიისა.

(20—7)

„წერა-კითხვის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბედი უბედურთა, მოთხრობა ნ. ლომოურისა | „ | 15 |
| Я. Гогебашвили. Руководство для учителей и учительницъ грузинскихъ начальныхъ школъ къ преподаванію по книгѣ того же автора „Русское Слово“ | „ | 50 |

წერა-კითხვის გამავრცელებელ

საზოგადოების

**წიგნთ-საწყობში**

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| გაყა-ფშაველა, მოთხრობანი, „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემა | „ | 30 |
| პატარა მოამბე, წიგნი II, ალ. მირიანაშვილისა, იმავ საზოგადოების გამოცემა | „ | 10 |
| გიორგი ბრწყინვალე, ნ. ურბნელისა, იმავ საზოგადოების გამოცემა | „ | 20 |
| ყდით | „ | 70 |


ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან.

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ქვემოხსენებულის პირების უძრავი ქონებანი, გირაოდ მიღებულნი ბანკისაგან, დანიშნულნი არიან ბანკის მე-14 § ის თანახმად საჯაროდ გასასყიდად ამავე ბანკის წესდებულებისა დადგენილთა გადასახდელების შემოუტანლობისათვის. გასყიდვა არ მოხდება მხოლოდ მაშინ, როცა ხვედრს გადასახდელს შემოიტანენ.

ა) სესხნი გაცემულნი არა-ურთიერთობრივის თავდებობით.

I ქალაქის მამულები

მახვილაძისა, ანნა მიხეილის ასული; ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი მიწა ზომით 14¼ ოთხ-კუთხი საჟენი ქ. ტფილისს, ვანის ქუჩაზე, მე-4 ნაწ. 1 განყ.